ვინ იყვნენ რაინდები?

გაიხსენე, რა იცი რაინდების შესახებ. წაიკითხე ტექსტი და გაიგე, როგორ წვრთნიდნენ ძველად რაინდებს.

სიტყვა „რაინდი“ დღეს ღირსეულ ვაჟკაცს ნიშნავს. ძველად კი რაინდობა სამხედრო წოდება იყო ევროპაში. ამ წოდების მისაღებად წარჩინებული ოჯახიშვილი 14 წლის განმავლობაში ემზადებოდა. **წვრთნას** იგი მცირე ასაკიდან იწყებდა. შვიდი წლის რომ გახდებოდა, მშობლები ვაჟს რომელიმე დიდგვაროვნის ციხესიმაგრეში გზავნიდნენ. იქ ჯერ ცხენოსნობა და მშვილდის სროლა უნდა ესწავლა. რამდენიმე წლის შემდეგ ხმლით ბრძოლისა და რაინდთა ქცევის წესებს **ეუფლებოდა**. თუკი თავს გამოიჩენდა, 21 წლის ასაკში უკვე რაინდი ხდებოდა.

რაინდი მღვდელს უნდა ეკურთხებინა ანუ დაელოცა. კურთხევის წინ ახალგაზრდა ჯერ ცივ წყალში განიბანებოდა. შემდეგ თეთრ ტანსაცმელს იცვამდა და ეკლესიაში მთელ ღამეს ლოცვაში ატარებდა. დილით მოძღვარი აზიარებდა და ნაკურთხ ხმალს გადასცემდა. ხოლო ის წარჩინებული, რომლის ოჯახშიც რაინდი იზრდებოდა, კისერზე ან მხარზე ხმალს **შეახებდა**. ამის შემდეგ იგი უკვე რაინდი იყო და მკაცრად უნდა დაეცვა შესაბამისი წესები.

აი რამდენიმე **ძირითადი** წესი. რაინდი მამაცი მებრძოლი უნდა ყოფილიყო. მას თავისი პატრონის ერთგულება და დაცვა ევალებოდა. ასევე მოეთხოვებოდა სამართლიანობა, ღვთის სიყვარული, ქალებთან თავაზიანი ქცევა.

რაინდის მთავარი იარაღი ფარი და ხმალი იყო. თუმცა შუბით, ხანჯლითა და საბრძოლო ნაჯახითაც **ერკინებოდა** მტერს. ბრძოლაში ჯაჭვის პერანგსაც ატარებდა. ისე კი მისი მთავარი სამოსელი ფერადი, ოქროს ძაფით ნაქარგი ტანსაცმელი იყო. ფეხზე ეცვა ცხვირაპრეხილი წაღები. თავზე კი ძვირფასი თვლებით მორთული ქუდი ეხურა. თუ რაინდი მდიდარი იყო, სამი ცხენი ჰყავდა. ერთს ბრძოლაში იყენებდა, მეორეს – სამგზავროდ და ბარგის გადასაზიდად. მესამე კი ყოველდღიური შრომისთვის ჰყავდა.

წესების დარღვევის შემთხვევაში რაინდს წოდება ჩამოერთმეოდა. უღირს საქციელად ითვლებოდა **სიმხდალე**. ასევე ამა თუ იმ შეჯიბრების დროს სხვისი მოტყუების მცდელობა ან რაინდის შეურაცხყოფა. რაინდულ სიყვარულსაც კი თავისი წესები ჰქონდა. რაინდს სიყვარული ბრძოლითა და საგმირო საქმეებით უნდა დაემტკიცებინა.

როგორც ხედავ, რაინდი **რჩეული** ადამიანი იყო. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეს საუკეთესო თვისებების მქონე მამაკაცზე ამბობენ, ნამდვილი რაინდიაო.

რაინდის თვისებებიდან, შენი აზრით, რომელია დღესაც მნიშვნელოვანი და რატომ?

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 სად იწვრთნებოდა მომავალი რაინდი?

ა) იმ ოჯახში, სადაც იგი დაიბადა.

ბ) რომელიმე დიდგვაროვნის ციხესიმაგრეში.

გ) ყველგან, სადაც ვარჯიში შეიძლებოდა.

2 უპირველეს ყოვლისა, რა უნდა ესწავლა მომავალ რაინდს?

ა) რაინდის ქცევის წესები.

ბ) ცხენოსნობა და მშვილდოსნობა.

გ) ხმლით ბრძოლის წესები.

3 ახალგაზრდას რაინდად აკურთხებდნენ:

ა) როგორც კი ოცდაერთი წლის გახდებოდა.

ბ) როგორც კი შვიდი წლის გახდებოდა.

გ) როგორც კი ცხენოსნობას ისწავლიდა.

4 მომავალ რაინდს ლოცვის წინ:

ა) ჯერ ზიარება უნდა მიეღო.

ბ) ჯერ თეთრი სამოცი უნდა ჩაეცვა.

გ) ჯერ ნაკურთხი ხმალი უნდა მიეღო.

5 როგორც კი რაინდი რომელიმე წესს დაარღვევდა, მას:

ა) ნაკურთხ ხმალს ჩამოართმევდნენ.

ბ) რაინდის წოდებას ჩამოართმევდნენ.

გ) საბრძოლო ცხენს ჩამოართმევდნენ.

6 რის შესახებ *არ არის* საუბარი ტექსტში?

ა) როდის ეძლეოდა რაინდს ცოლის შერთვის უფლება.

ბ) როდის იწყებოდა მომავალი რაინდის წვრთნა.

გ) როდის სრულდებოდა მომავალი რაინდის წვრთნა.

LIVEWORKSHEETS

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. **წვრთნას** ახალგაზრდა მცირე ასაკიდან იწყებდა.
   ა) ბრძოლას. ბ) ვარჯიშს. გ) ლოცვას.

2. ის რაინდთა ქცევის წესებს **ეუფლებოდა**.
   ა) ეცნობოდა. ბ) ისმენდა. გ) სწავლობდა.

3. წარჩინებული მომავალ რაინდს ხმალს **შეახებდა**.
   ა) დაჰკრავდა. ბ) მიადებდა. გ) მოუქნევდა.

4. რაინდი ნაჯახითაც **ერკინებოდა** მტერს.
   ა) აშინებდა. ბ) ებრძოდა. გ) ემუქრებოდა.

5. **სიმხდალე** უღირს საქციელად ითვლებოდა.
   ა) ლაჩრობა. ბ) სიჯიუტე. გ) ურჩობა.

2 მოცემულ სიტყვებს მიუწერე მათი გამაერთიანებელი სიტყვა.

შუბი, ფარი, ხმალი, ხანჯალი — ----------.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმი)?

ა) მთავარი – ძირითადი. ბ) უშიშარი – მხდალი. გ) შესაბამისი – შესაფერისი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორი ფორმები აღნიშნე V - ით.

	☑ *იცვამს.*	☐ *იცმევს.*
1.	☐ გადაცა.	☐ გადასცა.
2.	☐ ჰყავდა.	☐ ყავდა.

2 დაწერე სიტყვები საჭირო ფორმით.

1. რამდენიმე *(წელი)* ---------- შემდეგ რაინდი ქცევის წესებს ეუფლებოდა.
2. რაინდი მტერს *(ხანჯალი)* ---------- ერკინებოდა.

LIVEWORKSHEETS

გრამატიკა

3 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ---------- მთავარი სამოსი ფერადი ტანსაცმელი იყო. ***(თავისი / მისი)***
2. რაინდულ სიყვარულსაც ---------- წესები ჰქონდა. ***(თავისი / მისი)***

4 რომელი *არ არის* მიღებული ორი სიტყვის შეერთებით?

ა) კეთილშობილი. ბ) ტანსაცმელი. გ) ოჯახიშვილი.
დ) სამართლიანი. ე) ძვირფასი. ვ) ცვირაპრეხილი.

წერა

1 ჩამოწერე, რა ნაბიჯები უნდა გადაედგა რაინდს კურთხევამდე და რა ევალებოდა რაინდად კურთხევის შემდეგ.

კურთხევამდე	კურთხევის შემდეგ
1. შვიდი წლისა საცხოვრებლად გადადიოდა მომავალი პატრონის ციხესიმაგრეში.	**1.** მონაწილეობას იღებდა ბრძოლაში.
2. ----------	**2.** ----------
3. ----------	**3.** ----------
4. ----------	**4.** ----------

2 როგორც ტექსტიდან გაიგე, დღეს რაინდი კეთილშობილ ადამიანს ნიშნავს. ჩამოწერე, შენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ასეთ ახალგაზრდას? როგორ უნდა შეიძინოს მან ეს თვისებები?

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

LIVEWORKSHEETS